

## საქართველოს კანონი

### ადგილობრივ საერთო სამაუწყებლო საშუალებათა ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის შესახებ

#### მუხლი 1. კანონის მიზნები

კანონის მიზანია კუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიების სახით, იმ ადგილობრივი საერთო სამაუწყებლო საშუალებათა (რომელთა მაუწყებლობაც არ ვრცელდება ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში) საგადასახადო ვალდებულებისაგან განთავისუფლება, რომელთაც საგადასახადო ვალდებულებები წარმოეშვათ 2004 წლის 1 იანვრიდან დან 2010 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

#### მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საგადასახადო ვალდებულება – სახელმწიფოს წინაშე ფულადი ფორმით გამოხატული ვალდებულება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით ექვემდებარება გადახდას.

ბ) არადეკლარირებული გადასახადი – გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულების ჩვენებაც შესაბამისი კომპანიის მხრიდან არ იქნა ნაჩვენები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 3. ამნისტიის მოქმედების წესი

1. მოხდეს საქართველოს ადგილობრივი საერთო მაუწყებლებისათვის ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა და არადეკლარირებული გადასახადების ამნისტირება, რომლებიც წარმოშობილი იქნა 2004 წლის 1 იანვრიდან დან 2010 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

2. შეწყდეს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოება ყველა საგადასახადო, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში, რომელიც დაკავშირებულია 2004 წლის 1 იანვრიდან დან 2010 წლის 1 იანვრის ჩათვლით წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებთან.

3. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ის პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის მსჯავრდებულნი არიან ამ ვალდებულების შესრულებლობის გამო.

4. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ის პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის მსჯავრდებულნი არიან ამ კანონით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

5. განთავისუფლდნენ აღსრულების ვალდებულებისაგან ის პირები, რომლებთან მიმართებითაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება გადახდის ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

### **მუხლი 3. დასკვნითი დებულება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პერზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი